მოკლე შესავალი საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვის საკითხებზე

პრაქტიკოსის სახელმძღვანელო

საერთო პრინციპებისა და პროფესიული სტანდარტების მხარდაჭერა ევროპულ საპოლიციო სისტემაში

მაიკლ ბოილი

ჟან კლოდ ვულიერმე

ევროპის საბჭო

ამ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ავტორთა პასუხისმგებლობაა და არა ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის გამოცემისა თუ თარგმნის მოთხოვნით უნდა მიმართოთ კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg ან publishing@coe.int). ამ დოკუმენტთან დაკავშირებით ნებისმიერი კორესპონდენცია მიმართული უნდა იქნას ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატის სახელზე.

ყდა და დაკაბადონება: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების წარმოების განყოფილება (SPDS) ევროპის საბჭო

ფოტოები: © Shutterstock

© ევროპის საბჭო, 2018 წლის ოქტომბერი

გამოცემულა ევროპის საბჭოს მიერ

ნაშრომი ითარგმნა ევპოპის საბჭოს პროექტის „თავისუფლებააღკვეთილ პირთა ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესება საქართველოში“ ფარგლებში

წინამდებარე სახელმძღვანელო მოამზადეს ევროპის საბჭოს ექსპერტებმა:

მაიკლ ბოილმა და

ჟან კლოდ ვულიერმიემ

სარჩევი

Contents

წინასიტყვაობა 5

შესავალი 8

პროფესიონალური გამოკითხვა 10

- გამოკითხვა თუ დაკითხვა? 10
- ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები 11
- კანონის დაცვა, როგორც პოლიციის ოფიცრის მოვალეობა 12
- ადამიანის უფლებები 12
- ოქროს წესი 14
- წამება არ არის ეფექტური 15
- როგორი უნდა იყოს ეჭვმიტანილისადმი მოპყრობა 16
- გამოკითხვა 17
- ეჭვმიტანილის ქცევის და ქმედებების ამოცნობა - საჭიროა 18
- წინდახედულად მოქმედება 18
- პირის ბრალეულობაში დარწმუნებულობა 19
- გამოკითხვის ჩაწერა 20
- აღიარება 22
- ეჭვმიტანილი, რომელიც დუმილს არჩევს 23
- უნარების პრაქტიკაში გამოცდა 25

გამოკითხვის პროცესი 26

- მომზადება 28
- შესავალი 29
- განმარტებები 30
- შეკითხვები 31
- დასრულება 34
- შეფასება 35

დასკვნები 36

საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვის პრინციპები 39

წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორებს გააჩნიათ ფართო პირადი და პროფესიული გამოცდილება საპოლიციო ზომების გატარების სფეროში, მათ შორის, თავიანთ ქვეყნებში (ბრიტანეთი და საფრანგეთი) და საზღვარგარეთ (ერაყი) აუდიტის ჩატარების და ინსპექტირების გამოცდილება. ავტორები უაღრესად მოტივირებულები იყვნენ გაემახვილებინათ ყურადღება ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ პრაქტიკაზე საპოლიციო საქმიანობის ყველა ასპექტში, რომლებიც არა მხოლოდ ოპერატიული თვალსაზრისით ეფექტიანია და დაუყოვნებელი შედეგები მოაქვთ, არამედ ასევე ხელს უწობენ საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერას და მისი ნდობის ამაღლებას მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობისადმი.

საკუთარ სამუშაო გამოცდილებასა და საერთაშორისო კოლეგებთან დისკუსიებზე დაყრდნობით ავტორებმა ცხადად გააცნობიერეს, რომ პროფესიონალური საპოლიციო სტანდარტების დანერგვის სფეროში

წარუმატებელი გამოცდილება უფრო განპირობებულია ცოდნის უკმარისობით, შეზღუდული უნარ-ჩვევებით, და პოლიციის სისტემაში არასაკმარისი ტრენინგებით, ვიდრე ცალკეული პოლიციის ოფიცრების გადაცდომებით და ხარვეზებით. ძალიან ხშირად ავტორები ხედავდნენ, რომ საპოლიციო ზომების განხორციელების სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ყურადღების გამახვილების ხელშეწყობაზე მიმართული ტრენინგების ფარგლებში აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ აკადემიურ და სასამართლო მიდგომებზე. ეს მიდგომა ძალიან შორს იყო პოლიციელთა ყოველდღიური მუშაობისა და ცხოვრებისეული გამოცდილებისგან, და მიუხედავად იმისა, რომ იგი ინტელექტუალურად და სამართლებრივად საღი იყო, იგი არ უწყობდა ხელს იმ ადამიანების უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის პრაქტიკაში დანერგვას, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ საპოლიციო ღონისძიებების შედეგად.

ავტორებმა განიხილეს პოლიციის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად რამდენიმე ტრენინგის ჩატარების მიზანშეწონილობა, რომლებიც მათი აზრით მარტივი, პირდაპირი და ხარჯთეფექტიანი იქნება და, რაც მთავარია, მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ ადამიანის უფლებების დაცვის და კანონის უზენაესობის სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს პოლიციის მიერ გამოკითხვის ჩატარების პრაქტიკაში ახალი, უფრო ეფექტიანი და ადამიანის უფლებათა დაცვაზე მიმართული მექანიზმების ელემენტების გათვალისწინებაზე, კერძოდ კი, ეჭვმიტანილების გამოკითხვაზე. ეს იმითია განპირობებული, რომ ეჭვმიტანილი შეიძლება გამოკითხვის დროს პოტენციურად დაექვემდებაროს არასათანადო მოპყრობას და დაუცველი აღმოჩნდეს იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიციელები უზარმაზარი ზეწოლის ქვეშ არიან, რადგანაც ვალდებული არიან გახსნან დანაშაული და ბრალი წაუყენონ პირს მის ჩადენაში. შეზღუდული მოცულობის მტკიცებულებების არსებობის პირობებში და გამოკითხვის სათანადოდ ჩატარების უნარების უქონლობის გამო, რის გამოც შეუძლებელი ხდება საკმარისი რაოდენობის საიმედო და ზუსტი მტკიცებულებების მოპოვება, პოლიცია შეიძლება იძულებული იყოს ეცადოს მიიღოს აღიარება, რადგან ეს დანაშაულის გახსნის ერთადერთ საშუალებად მოიაზრება. ასეთ ვითარებაში გამოკითხვა შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს ეჭვმიტანილის მიმართ მუქარაში ან აღიარების მიცემის იძულებაში. ავტორები აცნობიერებენ, რომ ბევრ არასაკმარისად მომზადებულ პოლიციელს შეცდომით მიაჩნია, რომ უდანაშაულო ადამიანი არ აღიარებს იმ დანაშაულს, რომელიც მას არ ჩაუდენია. აქედან გამომდინარე, პოლიციის ოფიცრებმა შესაძლოა ვერ დაინახონ დიდი საფრთხე იძულების მეთოდების გამოყენებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ სწამთ, რომ ეს საზოგადოების საუკეთესო ინტერესებში კეთდება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ სფეროში

შესაბამისი ტრენინგების ჩატარების გარეშე უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ ადგილი ექნება ეჭვმიტანილების ადამიანის უფლებების შელახვას, უდანაშაულო ადამიანების მსჯავრდებას, დამნაშავეების თავისუფლებაზე დატოვებას, პოლიციის ოფიცრების მიერ იმ კანონის დარღვევას, რომლის დაცვის ვალდებულება იკისრეს, და საზოგადოების მხრიდან პოლიციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის და პატივისცემის დაკარგვას.

ავტორებმა ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მოამზადეს მოკლე შესავალი გზამკვლევი საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვასთან დაკავშირებით. ყველა მხარე თანხმდებოდა, რომ ასეთი სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო მოკლე და მარტივი. სახელმძღვანელო ისეთი სახით უნდა ყოფილიყო მომზადებული, რომ ყველა პოლიციის ოფიცერს შეეძლოს მისი გაცნობა, გაგება და გამოყენება. მიზანს არ წარმოადგენდა, რომ ამ სახელმძღვანელოს ჩაენაცვლებინა სასწავლო პროგრამები გამოკითხვის ტექნიკებთან დაკავშირებით, არამედ იგი იმისთვის მომზადდა, რომ შეევსო ხარვეზები იმ შემთხვევებში, თუ ასეთი სასწავლო პროგრამები არ არის ხელმისაწვდომი, ან პოლიციის განყოფილებების შეზღუდული რესურსებისა და შესაძლებლობების გამო ასეთი ტრენინგები საკმარისად არ ტარდება. მიუხედავად იმისა რომ აღიარებულია, რომ ეს სახელმძღვანელო არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პოლიციის თანამშრომლები ექსპერტები გახდნენ გამოკითხვის სფეროში, სახელმძღვანელოში ასახული მეთოდოლოგია და პრინციპები ხელს შეუწყობს პოლიციის ეფექტურობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. სწორედ ეს არის ამ სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანი.

შესავალი

ყველა ქვეყანაში დანაშაულის გამოვლენა არის პოლიციის ძირითადი მიზანი. დანაშაულის წარმატებული გამოვლენისა და გამოძიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია მსხვერპლთა, მოწმეებისა და ეჭვმიტანილების ეფექტური გამოკითხვა. პოლიციის ამ საკვანძო ფუნქციის სათანადო და პროფესიონალური განხორციელება ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნას, და ამ გზით უზრუნველყოფს მართლმსაჯულების აღსრულებას და კანონის უზენაესობის განმტკიცებას. თუმცა, ყველა ინსტრუმენტის მსგავსად, იგი შეიძლება იყოს დაბალი ხარისხის და გამოკითხვა შეიძლება ჩაატარონ იმ ადამიანებმა, ვისაც ხშირად არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები. ეს ძალიან ხშირად გამოიხატება პოლიციის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევაში, განსაკუთრებით ეჭვმიტანილის დაკითხვისას, რასაც ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ წარსულში, არამედ ასეთი ვითარება დღესაც სახეზეა. აცნობიერებდა რა, რომ აუცილებელია პოლიციის მხრიდან დარღვევების აღმოფხვრა და პროფესიული საპოლიციო სტანდარტების დამკვიდრება, ევროპის საბჭომ განსაზღვრა, რომ საპოლიციო ზომების გატარების უმთავრესი ამოცანაა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა. ადამიანის უფლებები არ ზღუდავს ეფექტური საპოლიციო საქმიანობის განხორციელებას; უფრო მეტიც, ეფექტური საპოლიციო ზომების გატარება სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის გზითაა შესაძლებელი. პოლიციელების მხრიდან მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება ადამიანის უფლებების დაცვის

ვალდებულებების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პოლიციის მიმართ იმ საზოგადოების პატივისცემას და მხარდაჭერას, რომელსაც იგი ემსახურება. ამ გზით პოლიციის ოფიცრები შეძლებენ უფრო ეფექტურ მუშაობას და მეტი კმაყოფილების მიღებას თავიანთი სამუშაოსგან. ეს ის მიზნებია, რომლებსაც ყველა პოლიციელი აღიარებს ღირსეულ მიზნებად.

საგამოძიებო გამოკითხვის სფეროში, ისევე როგორც პოლიციის საქმიანობის ყველა სფეროში, ევროპელმა პოლიციის ოფიცრებმა უნდა იხელმძღვანელონ პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსით, რომლის მიზანია საერთო პროფესიული სტანდარტების და ეთიკის ნორმების საფუძვლების დამკვიდრება. ეს პირველ რიგში გულისხმობს, რომ პოლიციელები არა მხოლოდ კანონის ფარგლებში უნდა მოქმედებდნენ, არამედ ასევე იყენებდნენ "კანონს კეთილსინდისიერად და იცავდნენ პატივისცემის პრინციპს“ საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, მათ შორის იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დანაშაულში.

ეს მოკლე სახელმძღვანელო საგამოძიებო გამოკითხვის საბაზისო საკითხებზე მიზნად ისახავს პოლიციის ოფიცრების ეფექტური ინსტრუმენტით აღჭურვას, ცოდნის ამაღლებას და ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობას, რომლებიც საჭიროა გამოძიების მსვლელობისას. სახელმძღვანელო ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო კვლევებს იმის შესახებ, თუ რა მუშაობს უფრო ეფექტურად, და ექსპერტებისა და მოქმედი პოლიციელების გამოცდილებას, რომლებიც მათზე დაკისრებულ მოვალეობებს პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის ფარგლებში არსებული უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დაცვით ახორციელებენ.

სახელმძღვანელოში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ეჭვმიტანილების დაკითხვაზე, რომელიც არის დანაშაულში ჩართული, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული კატეგორიის პირთან მიმართებაში გამოკითხვა შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს, ყველა გამოკითხვის ძირითად მიზანს წარმოადგენს ზუსტი, სარწმუნო და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოძიება, რომელიც ხელს შეუწყობს რეალური დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას. შესაბამისად, წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული მასალის უმეტესი ნაწილი ასევე ვრცელდება დაზარალებულთა და მოწმეთა გამოკითხვაზე, რადგან სახელმძღვანელოში ასახულია გამოძიების მიზნებში გამოკითხვის პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა. სხვა საკითხები, რომლებიც პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს გამომძიებელმა გამოკითხვისას, არის სპეციალური დამატებითი ნაბიჯები და გარანტიები, რომლებიც მიღებული უნდა იქნას დაუცველი, მოწყვლადი და არასრულწლოვანი პირების გამოკითხვისას.

პროფესიონალური გამოკითხვა

გამოკითხვა თუ დაკითხვა?

ამ სახელმძღვანელოში ასახულ მასალაში განუხრელად საუბარია გამოკითხვაზე, და არა დაკითხვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ტერმინები ურთიერთჩანაცვლების სახით გამოიყენება, ტერმინი "დაკითხვა" დიდწილად გამოიყენება ეჭვმიტანილების დაკითხვის აღწერისას, განსაკუთრებით კი, ისეთ სერიოზულ დანაშაულებში ეჭვმიტანილი პირების შემთხვევაში, როგორიცაა მკვლელობა, გატაცება, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული ან ტერორიზმი. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ტერმინს უფრო მკაცრი კონოტაცია ახასიათებს, რაც გულისხმობს, რომ ეჭვმიტანილების მიმართ გამოყენებული მეთოდი უფრო განსხვავებული და მკაცრი უნდა იყოს, ვიდრე გამოკითხვა. ფაქტობრივად, პოლიციის ოფიცერმა მიუკერძოებელი დამოკიდებულების იგივე პროფესიული სტანდარტი უნდა დაიცვას, და თანაბარი პატივისცემით მოეპყრას როგორც დაზარალებულების, ასევე მოწმეების ან ეჭვმიტანილების დაკითხვისას. ნებისმიერ შემთხვევაში, პოლიციის ოფიცერი გამოკითხვის პროცესში უნდა ეცადოს მოიძიოს მაქსიმალურად მეტი ფაქტობრივი და საიმედო ინფორმაცია, რომელიც გამოძიებაში და დანაშაულის წარმატებით

გახსნაში დაეხმარება მას. რა თქმა უნდა, ეჭვმიტანილების გამოკითხვისას არსებობს კიდევ ერთი პოტენციური მიზანი - პირის მიერ დანაშაულის აღიარება, ანუ აღიარებითი ჩვენების მიღება. თუმცა, ეს არ უნდა იყოს გამოკითხვის მთავარი, ან ერთადერთი მიზანი, რადგანაც დანაშაულის აღიარებაც უნდა იყოს დასაბუთებული და გამყარებული შესაბამისი ინფორმაციითა და მტკიცებულებებით. ეს შეამცირებს ცრუ აღიარებითი ჩვენების ალბათობას და ასევე საშუალებას მისცემს პოლიციის ოფიცრებს მოამზადონ უფრო დასაბუთებული არგუმენტები და საქმე ეჭვმიტანილის წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში, თუ მოგვიანებით იგი უარყოფს თავის აღიარებით ჩვენებას.

ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები

გამოძიების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენ დაიცვათ საპოლიციო ზომების გატარების უმაღლესი პროფესიული სტანდარტები და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთო ვალდებულება, მათ შორის ეჭვმიტანილის ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება. მნიშვნელოვანია გესმოდეთ, რომ ურთიერთმიმართება საპოლიციო საქმიანობის პროფესიულ განხორციელებასა და ადამიანის უფლებათა დაცვას შორის არის სრულყოფილი ბალანსი, სადაც ერთი ვერ იარსებებს მეორის გარეშე. შესაბამისად, თქვენ უნდა გამოამჟღავნოთ პატივისცემა და კეთილსინდისიერება ყველა გამოწვევის და სირთულის შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ეს შეიძლება განპირობებული იყოს ეჭვმიტანილის ქცევით, თქვენი, თქვენი ზემდგომების ან საზოგადოების ინტერესით და ზეწოლით, რომ საქმე დროულად იყოს გახსნილი. შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც თქვენ გააცნობიერებთ, რომ დრო კრიტიკული ფაქტორია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისთვის, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება ადამიანების გატაცებას, ან როდესაც ტერორისტები გეგმავენ უდანაშაულო მსხვერპლების სიცოცხლის ხელყოფას. ეს წარსულში სხვა პოლიციელებსაც განუცდიათ. თუმცა, ეჭვმიტანილისადმი ძალადობის მუქარაც კი, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი განხორციელების განზრახვა არ არსებობს, არ შეიძლება გამართლებული იყოს ასეთი გარემოებებით. ასეთი უკანონო

ქმედებები პოლიციის ოფიცრების დასჯის, და სასამართლოს მიერ ასეთი სახით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად მიჩნევის საფუძველი გახდა. როგორც თქვენ ამ სახელმძღვანელოში შეიტყობთ, ადამიანის უფლებათა დაცვითის პრინციპების გათვალისწინებით გამოკითხვის ჩატარების ტექნიკები უფრო პროდუქტიული და ეფექტურია, ვიდრე იძულება, დაშინება ან მანიპულირება. არაერთგზის იქნა დემონსტრირებული, რომ ეს ტექნიკები უფრო ეფექტურია დანაშაულის გახსნისთვის, ვიდრე ეჭვმიტანილების მიმართ არასათანადო მოპყრობა ან მათი უფლებების შელახვა. აღიარებულია, რომ ასეთი მიდგომა ყველაზე რთული ეჭვმიტანილებისა და მძიმე დანაშაულის შემთხვევებშიც კი უფრო გამართლებულია.

კანონის დაცვა, როგორც პოლიციის ოფიცრის მოვალეობა

შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და გარანტიების გარდა, თქვენ ვალდებული ხართ გაითვალისწინოთ საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც პოლიციის საქმიანობას არეგულირებს. კერძოდ, როგორც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოში მოქმედი პოლიციელი, თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ETS №5). თქვენს პროფესიულ პრაქტიკაში თქვენ ასევე უნდა გაითვალისწინოთ პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც პირდაპირ თქვენს საქმიანობას უკავშირდება. ესენია: წამებისა და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენცია (ETS No. 126) და გაერთიანებული ერების კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ. პოლიციის ოფიცრებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ გაერთიანებული ერების სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, და თავიანთი ეროვნული კოდექსი და პოლიციის ქცევის სტანდარტები. ამ სტანდარტების ცოდნა და მათი დაცვა ხელს შეუწყობს პოლიციელების პროფესიონალიზმსა და ეფექტურობის ამაღლებას. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელზე დაყრდნობითაც პოლიციელებმა უნდა განახორციელონ მათზე დაკისრებული მოვალეობები, მათ შორის, ეჭვმიტანილთა გამოკითხვისას, რადგან ეს შეიძლება იყოს დრო, როდესაც ადამიანები განსაკუთრებით დაუცველი არიან.

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

მე-3 მუხლის შესაბამისად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ეს პირდაპირაა დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ ეპყრობით ეჭვმიტანილს მისი დაკავების ყველა ეტაპზე, და განსაკუთრებით დაკითხვის დროს.

მე-5 მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, და ყველა დაკავებულ და თავისუფლებააღკვეთილ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

მე-14 მუხლის შესაბამისად, უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

გაერთიანებული ერების პრინციპების კრებული ყველა იმ პირის დასაცავად, რომლებიც ნებისმიერი ფორმით არიან დაკავებული ან დაპატიმრებული

ამ დოკუმენტის შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყველა პირს „უფლება აქვს მოექცნენ ჰუმანურად და ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემით“. ადამიანები არ უნდა დაექვემდებარონ სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას; ასეთი მოპყრობა არც ერთ გარემოებაში არ არის გამართლებული.

ნებისმიერ თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს, რომ დაკითხვისას მის მიმართ არ იქნას გამოყენებული ძალადობა, მუქარა ან მოკვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც ზღუდავენ მის მიერ განსჯის შედეგად გადაწყვეტილების მიღების უნარს. ეს ასევე მოიცავს დაკავებული პირის მდგომარეობით „არაკეთილსინდისიერად სარგებლობას“ მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით.

კარგი პრაქტიკაა ნებისმიერი დაკავებული პირის გამოკითხვის ხანგრძლივობის, და გამოკითხვებს შორის შესვენებების ხანგრძლივობის აღრიცხვა, და ყველა იმ პირის ვინაობის მითითება, ვინ გამოკითხვას ესწრებოდა.

გაერთიანებული ერების სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი

მუხლი 2: მათი მოვალეობის შესრულებისას, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები პატივს სცემენ და დაიცავენ ადამიანის ღირსებას, და ყველა პირის ადამიანის უფლებებს.

მუხლი 5: სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელები არ მიმართავენ, წააქეზებენ ან შემწყნარებლურ დამოკიდებულებას გამოიჩენენ წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის მიმართ.

მუხლი 6: სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ პატიმრობაში მყოფი პირების ჯანმრთელობის დაცვა.

ოქროს წესი

არანაირ გარემოებებში ვერ იქნება მიჩნეული გამართლებულად ეჭვმიტანილის მიმართ მუქარა, დაშინება, ან ნებისმიერი სახის ძალადობა, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ინფორმაციის მოპოვების, დანაშაულში ჩართული სხვა პირების გათქმის უზრუნველყოფის, ან აღიარების მიღების მიზნით.

ეს არა მარტო არაეთიკურია, ეწინააღმდეგება პროფესიონალური საპოლიციო საქმიანობის ეთიკურ სტანდარტებს და ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, **არამედ უბრალოდ არ არის ეფექტური.**

საგამოძიებო გამოკითხვის პროცესისა და ეტაპების გავლამდე აუცილებელია, რომ თქვენ პირველ რიგში სათანადოდ გააცნობიეროთ და გაითავისოთ გამოკითხვის "ოქროს წესი". ეს მარტივად გასაგები წესია, მაგრამ მისი პროფესიულ პრაქტიკაში განუხრელად გატარება შედარებით რთულია შიდა და გარე ზეწოლის გამო, რის შედეგადაც ხშირად ამ წესიდან გადახვევა ან მისი დარღვევა ხდება. მიუხედავად ამისა, თქვენ უნდა დაიცვათ ეს წესი, თუ გსურთ გახდეთ სათანადო უნარების მქონე პოლიციელი, რომელიც საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვას მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ჩაატარებს.

წამება არ არის ეფექტური

არსებობს სამეცნიერო მტკიცებულების დიდი მოცულობა, რომლებიც იმაზე მიუთითებენ, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა არ არის ეფექტური მეთოდი. ასეთი მეთოდები არ იძლევა ზუსტ ან საიმედო ინფორმაციას, რაც პოლიციის მირ გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს. წამებით და არაადამიანური მოპყრობით გამოწვეული სტრესის ზემოქმედება ტვინის კოგნიტურ შესაძლებლობებზე ისეთია, რომ თქვენ არ შეიძლება დარწმუნებული იყოთ, რომ მიღებული ინფორმაცია სარწმუნოა მაშინაც კი, როდესაც თავად მსხვერპლს შეიძლება მიაჩნდეს, რომ იგი სიმართლეს ამბობს. ეს დასკვნები დადასტურებულია არა მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული ექსპერიმენტებით, არამედ ასევე დაკითხვის/გამოკითხვის სფეროში გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიკული გამოცდილებით, რომლებმაც ეჭვმიტანილი ტერორისტების და კრიმინალების გამოკითხვის დიდი გამოცდილება გააჩნიათ. ამას ადასტურებენ ასევე ის გამომძიებლები, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარსდგნენ და მსჯავრდებული იყვნენ წამების გამოყენებისთვის ასობით შემთხვევაში ინფორმაციისა და აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით. ისინი აღიარებენ, რომ წამების შედეგად მიღებული ინფორმაცია არ იყო სანდო და ღირებული, და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობა არ იყო გამართლებული. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანი უფრო ხშირად პირისთვის ტანჯვის მიყენება, დასჯა და მისი ღირსების ხელყოფაა. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი საპირისპირო მტკიცებულება არსებობს, ზოგიერთ პოლიციის ოფიცერს გულუბრყვილოდ მიაჩნიათ, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა მუშაობს. სინამდვილეში, ეს მეთოდები კონტრპროდუქტიულია. წამების ან არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის გამოყენების შედეგად უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ დაუცველმა და უდანაშაულო ადამიანმა აღიაროს დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია, მაშინ როდესაც ნამდვილი დამნაშავე დაუსჯელი დარჩება. პოლიციის ოფიცერი ასეთ შემთხვევაში არღვევს კანონს, რომლის დაცვის ფიცი დადო, რაც პოლიციისადმი საზოგადოების ნდობას არყევს. არ შეიძლება საზოგადოება პატივს სცემდეს ან მხარს უჭერდეს პოლიციას, როდესაც პოლიციის ოფიცრები არ იცავენ ადამიანის უფლებებს, არ სცემენ პატივს ადამიანის ღირსებას, და არღვევენ კანონს.

როგორი უნდა იყოს ეჭვმიტანილისადმი მოპყრობა

თავისუფლებააღკვეთილი პირების არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მიზნით საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური გარანტიები არსებობს. რადგან ეჭვმიტანილები დაკავებაში იმყოფებიან, თქვენ უნდა უზრუნველყოთ ამ გარანტიების მათზე გავრცელება. მაშინაც კი, თუ ეჭვმიტანილი გარკვეული დროის განმავლობაში პატიმრობაში იმყოფება, თქვენ ავტომატურად არ უნდა მიიჩნიოთ, რომ მისთვის ეს გარანტიები უკვე ხელმისაწვდომია: ყოველთვის მიზანშეწონილია გადაამოწმოთ თუ რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით. თუ მათ ასეთი გარანტიები არ შესთავაზეს, თქვენ უნდა შესთავაზოთ ისინი. ამ ნაბიჯების გადადგმა სავარაუდოდ, გააუმჯობესებს თქვენს მიერ ინფორმაციის მიღების შანსებს, რადგან თქვენი მხრიდან მათი უფლებების და კანონის პატივისცემის დემონსტრირება ხელს შეუწყობს ეჭვმიტანილთან სათანადო კომუნიკაციის და თანამშრომლობის დამყარებას.

დარწმუნდით, რომ ეჭვმიტანილს საშუალება მიეცა ეცნობებინა მისი არჩევანის მიხედვით ნებისმიერი პირისთვის მისი დაკავების შესახებ, და რომ მას ასევე საშუალება ჰქონდა დაკავშირებოდა ადვოკატს. ასევე, ჰკითხეთ ეჭვმიტანილს, ინფორმირებულია თუ არა მისი უფლების შესახებ გასინჯოს ექიმმა მისი არჩევანის მიხედვით, და გასინჯა თუ არა იგი უკვე პოლიციის მიერ უზრუნველყოფილმა ექიმმა.

გახსოვდეთ, რომ ეჭვმიტანილი არ უნდა დაექვემდებაროს გამოკითხვას ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში შესვენების და შესაბამისი საკვების და სასმელი წყლის

რატომ უნდა გამოვიყენოთ გამოძიების მიზნებში გამოკითხვის ტექნიკა?

- ეს ტექნიკა ეხმარება გამოძიების მიმართულების სწორად გამოკვეთას. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ეჭვმიტანილის მსჯავრდებას, ან უდანაშაულო პირის გათავისუფლება, და შესაბამისად, უკეთ მოემსახურება მართლმსაჯულების მიზნებს.
- მტკიცებულებების და ინფორმაციის მოპოვების გაუმჯობესება გაამყარებს ბრალდების პოზიციას და ხელს შეუწყობს პოლიციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოების რესურსების ფუჭი ხარჯვის თავიდან აცილებას.

უზრუნველყოფის გარეშე. ეჭვმიტანილებს საშუალება უნდა მიეცეთ არანაკლებ 8 საათი ჰქონდეთ უწყვეტად 24-საათიანი პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან ძილისთვის ან სხვაგვარად დასვენებისთვის საჭირო საშუალებებით. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ უნდა მოახდინოთ მანიპულირება შესვენების დროით ისე, რომ ეჭვმიტანილი სტრესში ჩააგდოთ, თქვენ შეგიძლიათ ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე გადაწყვიტოთ გამოკითხვის შეჩერება და შესვენება გამოაცხადოთ გარკვეული ინფორმაციის გადამოწმების, მოპოვების, ან დამატებითი მოკვლევის ჩატარების მიზნით. თქვენ ასევე უნდა გაითვალისწინოთ, რომ თუ ეჭვმიტანილის იურიდიული წარმომადგენელი ესწრება გამოკითხვას, მან შეიძლება მოითხოვოს შესვენება, რათა მოითათბიროს თავის კლიენტთან ან ეჭვმიტანილთან, ან თავად ეჭვმიტანილმა შეიძლება მოითხოვოს პირისპირ შეხვედრა თავის ადვოკატთან. თქვენ შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ამ თხოვნას, რადგანაც ეს შეიძლება არ იყოს გამოძიების ინტერესებში. თქვენ გადაწყვეტილება ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა მიიღოთ.

- ეს ხელს შეუწყობს პოლიციის პროფესიონალიზმ ისადმი, ეფექტურობისადმი , და ადამიანის უფლებების დაცვისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს პოლიციის მხარდაჭერას და პატივისცემას.

გამოკითხვა

გახსოვდეთ, რომ ეჭვმიტანილი შეიძლება იყოს მოწყვლადი, და გააჩნდეს დამატებითი საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას გამოკითხვამდე, ან მის პროცესში. შეიძლება საჭირო იყოს, რომ ეჭვმიტანილი გარდა ადვოკატისა, სხვა თანმხლებ პირთან ერთად გამოცხადდეს, მაგალითად, არასრულწლოვანი ან მოწყვლადი ეჭვმიტანილი პირის ინტერესების დასაცავად. პოლიციის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ასეთი მოწყვლადი პირების იდენტიფიცირება და შესაბამისი ზომების გატარება, რათა მათთვის საჭირო მხარდაჭერა იყოს უზრუნველყოფილი.

არა აქვს აზრი ისეთი ეჭვმიტანილის გამოკითხვას, რომელსაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ ესმის იმ კითხვების ხასიათი ან მიზანი, რომლებსაც მას უსვამენ. ეჭვმიტანილის ასეთი მდგომარეობა შეიძლება იყოს დროებითი, როდესაც იგი ნარკოტიკების ან ალკოჰოლის

ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, შოკშია, ან სტრესულ მდგომარეობაშია. შესაძლოა დაგჭირდეთ შესვენების გამოცხადება იმ შემთხვევაში, როდესაც ეჭვმიტანილი ძალიან აღელვებულია იმისთვის, რომ გააგრძელოს კითხვებზე პასუხის გაცემა. გაითვალისწინეთ, რომ ეჭვმიტანილის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს, და შესაძლებელია გამოკითხვის პროცესში შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც მას სამედიცინო დახმარება დასჭირდება მაშინაც კი, თუ მანამდე იგი ფიზიკურად კარგ მდგომარეობაში იყო. ეჭვმიტანილს შეიძლება სწავლის თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდეს, ან სოციალური ფუნქციონირების შეზღუდული უნარები გააჩნდეს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის უნარზე გასცეს შეკითხვებზე ინფორმირებული პასუხი, ან ადექვატურად გაიაზროს კითხვების მნიშვნელობა ან არსი. ეჭვმიტანილები შეიძლება გამოკითხული იქნან იმ შემთხვევაში, თუ მათ სრულად ესმით გამოკითხვის მნიშვნელობა. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ასე არ არის, შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, როდესაც დაუყოვნებლივ გამოკითხვა შეიძლება გამართლებული იყოს, მაგალითად, როდესაც ადამიანის სიცოცხლე ან ქონება საფრთხეშია, ან არსებობს რისკი, რომ შეიძლება მტკიცებულებები დაკარგოს, ან დამნაშავეები მიიმალონ. თქვენ გადაწყვეტილება საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით უნდა მიიღოთ, მაგრამ ყოველთვის უნდა მიიღოთ მხედველობაში ეჭვმიტანილის კეთილდღეობა.

ეჭვმიტანილის ქცევის და ქმედებების ამოცნობა - საჭიროა წინდახედულად მოქმედება

ზოგიერთი პოლიციელი მიუთითებს, რომ მას „ინტიუიტიური ინსტიქტი" გააჩნია, და ისინი ამაყობენ თავისი უნარით ამოიცნონ ადამიანის სხეულის ენა და სხვა მინიშნებები, და ამაზე დაყრდნობთ დაადგინონ, რომ ეჭვმიტანილი იტყუება, ან ნამდვილად ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული. ეს სრულიად ეწინააღმდეგება პროფესიონალური გამომძიებლის მიმართ არსებულ მიუკერძოებლობის მოთხოვნას. ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის იგნორირება ან გაუფასურება, რომელიც ეწინააღმდეგება, ან აბათილებს ასეთ დაუსაბუთებელ დასკვნებს. არ დაეყრდნოთ თქვენს უნარს გამოიცნოთ ტყუილი, არამედ მოიძიეთ მტკიცებულებები და დაეყრდენით მათ. კონკრეტული ეჭვმიტანილის წინააღმდეგ მტკიცებულების ნაკლებობა ყოველთვის არ უნდა განიხილებოდეს როგორც პრობლემა, რადგან ეს შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს. არსებითი მტკიცებულებების არარსებობა შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ შესაძლოა დანაშაული სხვა პირმა ჩაიდინა, და საჭიროა გამოძიების ახალი მიმართულებით წარმართვა.

პოლიციის ოფიცერი, რომელიც ვერ შეძლებს მიუკერძოებელი დამოკიდებულების შენარჩუნებას, და მიიჩნევს, რომ მან "იცის" სიმართლე, სავარაუდოდ უფრო მეტადაა მიდრეკილი მოუძებნოს დასაბუთება თავის მოსაზრებებს და მიმართოს ეჭვმიტანილის მიმართ მუქარას, იძულებას ან სხვაგვარად მანიპულირებას აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით. ძალიან ბევრი ენერგიის წარმართვამ აღიარებითი ჩვენების მოპოვებაზე შეიძლება შედეგად მოიტანოს პოლიციის ოფიცერის მიერ სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის უგულებელყოფა, რომლიც შეიძლება სხვა პირის ბრალეულობაზე მიუთითებდეს. მაშინაც კი, როდესაც ოფიცერმა შესაძლოა სწორად მიიჩნიოს, რომ ეჭვმიტანილი ცრუობს, ამ "სიცრუის" მიზეზი შეიძლება მრავალგვარი იყოს. ეს შეიძლება მართლაც დაკავშირებული იყოს პირის ბრალეულობასთან, მაგრამ შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს რაიმე სხვა ფაქტორით, მათ შორის შიშით, დაბნეულობით, იმ პირისთვის სასურველი პასუხის გაცემით, ვინც გამოკითხვას ატარებს, ან უბრალოდ სურვილით რაიმე უპასუხოს კითხვებზე, მაშინაც კი, როდესაც ეჭვმიტანილმა არ იცის სწორი პასუხი. ქცევის ინტერპრეტირება გარკვეული სტერეოტიპული ან კლიშე ფორმულების მეშვეობით არასანდოა, და თავიდან უნდა იქნას აცილებული. პოლიციელები ყოველთვის უნდა ინარჩუნებდნენ მიუკერძოებლობას და ფართო თვალსაწიერს!

პირის ბრალეულობაში დარწმუნებულობა

გულუბრყვილო იქნებოდა ვივარაუდოთ, რომ არ იქნება გარკვეული შემთხვევები, როდესაც პოლიცია გამოკითხავს პირს ისეთ ვითარებაში, როდესაც არსებული მტკიცებულებები და ინფორმაცია უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მაღალია იმის ალბათობა, რომ მოცემულმა პირმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ის, რომ გამომძიებელს ასეთი აზრი ჩამოუყალიბდა, არ გულისხმობს, რომ გამომძიებლის მიდგომა გამოძიებისადმი რადიკალურად უნდა შეიცვალოს, რადგანაც გამომძიებლის მიუკერძოებლობას კვლავაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოძიების პროცესში. გარკვეული ფაქტების შესახებ ცოდნა ზეგავლენას მოახდენს თქვენი შეკითხვების არსზე, მაგრამ არა გამოკითხვის ეტაპებსა თუ პროცესზე, და ამ ცოდნის ზეგავლენით თქვენ არ უნდა დაკარგოთ უნარი შეისწავლოთ სხვა შესაძლებლობები და ახსნა-განმარტებები. უფრო მეტიც, გამოკითხვის პროცესში თქვენ კვლავაც უნდა ეცადოთ დაამყაროთ და შეინარჩუნოთ ეჭვმიტანილთან ურთიერთგაგება, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოეპყრათ ეჭვმიტანილს პატივისცემითა და მისი ღირსების დაცვით. პოლიციის თანამშრომლები ვალდებული არიან გამოკითხონ ყველა ეჭვმიტანილი მათი უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით. პირის ბრალეულობის დადგენა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. ბევრი შემთხვევა არსებობს, როდესაც პოლიციელები

დარწმუნებული არიან ეჭვმიტანილის ბრალეულობაში, და მის გამოკითხვას მხოლოდ ამ რწმენის დასამტკიცებლად ატარებენ, ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტების დადგენა სცადონ იმის შესახებ, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ასეთმა დამოკიდებულებამ შედეგად მოიტანა, რომ ზოგი ეჭვმიტანილისგან აღიარება იქნა მოპოვებული, და მოგვიანებით, მიუკერძოებელი ექსპერტიზის ან ფიზიკური მტკიცებულების მეშვეობით დადგინდა, რომ ეჭვმიტანილი სრულიად უდანაშაულო იყო.

გამოკითხვის ჩაწერა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გამოკითხვის აუდიო და ვიდეო ჩანაწერის წარმოება პოლიციისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და მთელ რიგ უპირატესობებს უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის დროს უნდა მოხდეს ჩანაწერების წარმოება (რაც იდეალურ შემთხვევაში, მეორე გამომძიებელმა უნდა აწარმოოს, და არა წამყვანმა გამომძიებელმა), აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მიზანია სტრუქტურირებული მიდგომის დანერგვა როდესაც გამოკითხვის დროს საჭირო გახდება ეჭვმიტანილის მონათხრობის გაბათილება. გამომძიებელი, რომელიც გამოკითხვის დროს ჩაინიშნავს ეჭვმიტანილის მონათხრობს, სრულად ვერ ასახავს მის ყველა სიტყვას, და მისი ყურადღება ნაწილობრივ მიმართული იქნება

დამცავი გარანტიები

- ყველა გამოკითხვა უნდა იქნას ჩაწერილი, და ეჭვმიტანილს უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს სტენოგრაფიულ იჩანაწერის ასლი.

იმაზე, თუ რას ამბობს ეჭვმიტანილი და როგორ იქცევა იგი. გარდა ამისა, ელექტრონული ჩანაწერი წარმოადგენს სტენოგრაფიულ მტკიცებულებას იმის შესახებ, რაც გამოკითხვისას ითქვა, და ამ მტკიცებულების სადაოდ მიჩნევა შეუძლებელია. იგი საშუალებას აძლევს პირს, რომელიც გამოკითხვას ატარებს, უფრო მეტად კონცენტრირდეს ეჭვმიტანილის აქტიურ მოსმენაზე, და ინფორმაციის გამჟღავნების წახალისებაზე. ოფიცრებს შეუძლიათ მოგვიანებით თავად ჩანაწერი განიხილონ, რაც შეიძლება დაეხმაროს მათ ისეთი ასპექტების გამოვლენაში, რაც გამოკითხვისას თავდაპირველად ვერ შენიშნეს, და რომლებიც შემდგომ მოკვლევას საჭიროებენ. ჩანაწერი არა მარტო აქარწყლებს რაიმე სადავო საკითხებს, არამედ ის ასევე უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომლების გარკვეულ დაცვას გამოკითხვის ჩატარების პროცესთან მიმართებაში, რადგანაც ჩანაწერი შეიძლება მტკიცებულების სახით იქნას წარდგენილი, როდესაც რაიმე დარღვევების შესახებ უსაფუძვლო ბრალდებების გაქარწყლებაა საჭირო.

გარდა ამისა, გამოკითხვის აუდიო და ვიდეო ჩანაწერები ასევე იმ პირების დაცვას უზრუნველყოფენ, ვისაც გამოკითხავენ პოლიციის მიერ დაკავების პირობებში. ხშირად ის ფაქტი, რომ გამოკითხვის ჩაწერა ხდება, კარგ სტიმულს წარმოადგენს თავად პოლიციელებისთვის და ისინი ცდილობენ დახვეწონ თავისი უნარები. ჩანაწერები შეიძლება სასარგებლო რესურსი იყოს არა მხოლოდ გამოკითხვის „შეფასების“ ეტაპზე, როდესაც უკეთ გამოიკვეთება თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს გამოძიება, არამედ ეს ასევე კარგი სასწავლო რესურსია ოფიცრებისთვის, რათა მათ ყურადღება გაამახვილონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.

- ყველა ეჭვმიტანილს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს რჩევები თავისი ადვოკატისგან, როდესაც იგი დაკავებული იქნება, და გამოკითხვამდე მას უნდ ეცნობოს ამ უფლების შესახებ.
- სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმ ეჭვმიტანილების განსაკუთრებულ საჭიროებებს, რომლებიც ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობების გამო მოწყვლადები არიან (და პირი, რომელიც გამოკითხვას აწარმოებს, ვალდებულია დაიცვას თანასწორობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები)
- ეჭვმიტანილებს საშუალება უნდა ჰქონდეთ უწყვეტად დაისვენონ გონივრული დროის განმავლობაში, და მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყალი და საკვები

აღიარება

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საკითხებზე უმაღლესი კომისარის ოფისი თავის სამაგიდე სახელმძღვანელოში „ადამიანის უფლებათა სტანდარტები და პრაქტიკა პოლიციისთვის“ აღნიშნავს, რომ „პოლიცია არასდროს უნდა დაეყრდნოს აღიარებას როგორც საქმის გახსნის საფუძველს. გამოძიების მიზანი უნდა იყოს სანდო და დამოუკიდებელი მტკიცებულებების მოპოვება“. სახემძღვანელო მოუწოდებს ოფიცრებს "შეისწავლონ და გამოიყენონ გამოკითხვის თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკა“, რაც ამ სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს. ხშირად პოლიციის თანამშრომლები ტრეინინგის, ცოდნისა და სხვა რესურსების არარსებობის გამო, დანაშაულების გახსნის მიზნით აღიარებით ჩვენებას ეყრდნობიან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიციელებმა შეიძლება დანაშაულის გახსნის აუცილებლობიდან გამომდინარე, მიიღონ ასეთი აღიარებითი ჩვენება იძულების მეთოდების გამოყენებით, ნაცვლად საგამოძიებო უნარ-ჩვევების გამოყენებისა.

- ეჭვმიტანილები, რომლებიც დაკითხვის მოლოდინში არიან, ან დაკითხვებს შორის შუალედებში, მოთავსებული უნდა იყვნენ შესაბამის სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება სათანადო სანიტარული პირობები, სინათლე, სითბო, ვენტილაცია და საწოლი, ან დასაჯდომი ადგილი დასასვენებლად

არ არსებობს დაბრკოლება აღიარების მიღების თვალსაზრისით. თუმცა, არსებობს გარკვეული მოთხოვნები და დათქმები. პოლიციელებს უნდა ესმოდეთ, რომ ზოგიერთი ადამიანი უფრო მოწყვლადი და დაუცველია. ამის გამო ეს ადამიანები შეიძლება უფრო მიდრეკილი იყონ აღიარონ ის დანაშაულები, რომლებიც არ ჩაუდენიათ. სხვა შემთხვევაში, პირებმა შეიძლება აღიარონ დანაშაულის ჩადენა მესამე მხარის დაცვის მიზნით. აქედან გამომდინარე, პოლიციის ოფიცრებმა ყოველთვის უნდა ეძებონ მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ, ან ეჭვქვეშ დააყენებენ აღიარებითი ჩვენების ნამდვილობას. ის ფაქტი, რომ პოლიციის ოფიცრები არ დაეყრდნენ მხოლოდ ასეთ ჩვენებას, შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს, როდესაც პირი მოგვიანებით უარყოფს თავის თავდაპირველ ჩვენებას.

დამნაშავეებმა შეიძლება აღიარონ დანაშაული, თუ ისინი სინანულს გრძნობენ და სურთ განმარტონ, თუ რა მოხდა და რატომ, ან სხვა მიზეზის გამო სურთ მათი ქმედებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. სხვებმა შეიძლება აღიარონ დანაშაული იმის გამო, რომ მათი მამხილებელი მტკიცებულების წონა იმდენად დიდია, რომ მათ სხვა არჩევანი აღარა აქვთ, და გამოძიების ეტაპზე დანაშაულის აღიარებით იმედოვნებენ, რომ სასამართლო მათ უფრო მსუბუქ განაჩენს გამოუტანს, ან მათთვის ხელსაყრელ სხვა შეთანხმებას მიაღწევენ. სხვა ეჭვმიტანილებმა შეიძლება იმის გამო აღიარონ დანაშაული, რომ დაკავებით და პოლიციის მიერ გამოკითხვით გამოწვეული სტრესი იმდენად დიდია, რომ დანაშაულის აღიარება მათ შვებას გვრის, რადგან დაკითხვა დასრულდება. ამ უკანასკნელმა ასპექტმა შეიძლება ასევე გავლენა იქონიოს გარკვეულ მოწყვლად ადამიანებზე, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ სრულიად უდანაშაულო არიან, ამ ზეწოლის ქვეშ დანაშაულის ჩადენას აღიარებენ. ეს მაღალი ალბათობით ისეთ ვითარებაში ხდება, როდესაც პოლიციელები რეპრესიულ მეთოდებს მიმართავენ. ის ადამიანები, რომლებიც ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ, შეიძლება ასევე ადვილად დაარწმუნონ მანიპულირებით და ფაქტების არასწორი წარმოჩენით, რომ ისინი მართლაც დამნაშავე არიან. ეს ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ ყოველთვის საჭიროა გამამყარებელი მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც დაადასტურებენ, ან გააბათილებენ პირის აღიარებით ჩვენებას.

ეჭვმიტანილი, რომელიც დუმილს არჩევს

თქვენ ეჭვმიტანილებისგან სხვადასხვა ქცევას უნდა ელოდოთ, მათ შორის, ეჭვმიტანილი შეიძლება მზად იყოს თანამშრომლობაზე, ან პირიქით, იყოს ზედმეტად მეგობრული, ან მიდრეკილი იყოს ძალადობისა და აგრესიისკენ. გამოკითხვის კონტექსტში, პოლიციის თანამშრომლებისთვის შეიძლება განსაკუთრებით სტრესული იყოს, როდესაც საქმე აქვთ ეჭვმიტანილთან, რომელიც არაფერს ამბობს. ეჭვმიტანილმა შეიძლება თვალები დახუჭოს, მიაშტერდეს ერთ წერტილს, ან თუნდაც შეეცადოს, რომ სკამი თქვენსკენ ზურგით შეაბრუნოს, ან თავად ისეთი პოზიცია მიიღოს, რომ აიცილოს თქვენთან მხედველობითი კონტაქტი. ასეთ გარემოებებში თქვენ მაინც უნდა გააგრძელოთ ეჭვმიტანილის გამოკითხვა. თქვენი შეკითხვები უნდა იყოს შესაბამისი, მაგრამ არ უნდა მეორდებოდეს იმდენად, რომ გამოკითხვამ რეპრესიული ხასიათი მიიღოს. გახსოვდეთ, რომ ეჭვმიტანილის დუმილი არ უნდა ახდენდეს გავლენას თქვენს მოსაზრებაზე მისი ბრალეულობის ან უდანაშაულობის თაობაზე, და

თქვენ უნდა მოქმედებდეთ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე. ეჭვმიტანილის მხრიდან დუმილი ნიშნავს, რომ მან აირჩია ისარგებლოს დუმილის უფლებით.

ეჭვმიტანილის დუმილმა არ უნდა გაგაღიზიანოთ, და თქვენ არ უნდა გადაუხვიოთ თქვენი პროფესიული სტანდარტებიდან. არ იყვიროთ, არ გამოიყენოთ შეურაცხმყოფელი ან ღირსების შემლახველი გამონათქვამები, და არ გაბრაზდეთ. თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ ყოველთვის იქნება ისეთი შემთხვევები, როდესაც მიუხედავად იმისა, თუ რა უნარები გაქვთ და რა სტრატეგიებს გამოიყენებთ, ეჭვმიტანილმა შეიძლება მაინც შეინარჩუნოს დუმილი. ეს არ უნდა აისახოს თქვენი, როგორც პოლიციის ოფიცრის შესაძლებლობებსა ან ეფექტურობაზე.

ეჭვმიტანილმა შეიძლება მოკლე ან უკმეხი პასუხი გაგცეთ, მაგალითად, როგორიცაა „წარმოდგენა არა მაქვს“, „უკომენტაროდ“, ან „არ ვიცი“. ეს შეიძლება გამაღიზიანებელი იყოს, რადგან თქვენ არ იცით რას მოელოდთ, და შეიძლება ივარაუდოთ, რომ ისინი ყველა თქვენს მომავალ შეკითხვაზე იგივე წესით გპასუხობენ, თუმცა ეს მალე გახდება ნათელი.

თქვენ უნდა შეახსენოთ დანაშაულში ეჭვმიტანილებს, თუ რა დანაშაულების ჩადენაში არიან ისინი ეჭვმიტანილი, და რომ ეს არის მათთვის შესაძლებლობა მოყვნენ მოვლენების თავიანთი ვერსია და გადმოსცენ ფაქტები საკუთარი სიტყვებით. მიეცით ეჭვმიტანილებს დრო, რომ დაფიქრდნენ შეკითხვაზე. მაშინაც კი, თუ ისინი არ გიპასუხებენ, ან უკმეხად გიპასუხებენ, მიეცით მათ გარკვეული დრო დასაფიქრებლად, და არ დასვათ მომდევნო კითხვა დაუყოვნებლივ. შეახსენეთ ეჭვმიტანილებს, რომ მათ შეუძლიათ თქვენს ზოგიერთ შეკითხვასთან დაკავშირებით დუმილი შეინარჩუნონ, თუმცა შესაძლოა, სხვა კითხვებზე, რომლებსაც თქვენ გამოკითხვისას დაუსვამთ, შესაძლოა პასუხის გაცემა მოუნდეთ, და ამიტომ მათ უნდა მოგისმინონ და დაფიქრდნენ პასუხზე. თქვენ შეგიძლიათ სცადოთ პასუხის გაცემის წახალისება იმ მტკიცებულებებზე მითითებით, რომლებიც უკვე თქვენს ხელთაა. ეს მტკიცებულებები შეიძლება ეჭვმიტანილების ბრალეულობაზე მიუთითებდნენ, და შესაძლოა მათ სურვილი გაუჩნდეთ განმარტონ ამ მტკიცებულებებთან დაკავშირებული ვითარება საკუთარი სიტყვებით. მაშინაც კი, თუ ეჭვმიტანილები დუმილს ინარჩუნებდნენ მთელი გამოკითხვის მანძილზე, ყოველთვის შეატყობინეთ მათ, რომ თქვენ გამოკითხვას დაასრულებთ შეკითხვით, ხომ არ სურთ რაიმე თქვან, ან რაიმე შეკითხვა დასვან.

გახსოვდეთ ოქროს წესი, რომ არცერთ გარემოებაში არ უნდა

მიმართოთ მუქარას, ძალის გამოყენებას, ან იძულებას, რათა ეჭვმიტანილმა პასუხი გასცეს თქვენს შეკითხვებს, თუ იგი დუმილის უფლებით სარგებლობას გადაწყვეტს.

უნარების პრაქტიკაში გამოცდა

ხშირად პოლიციის ტრენინგის წარმატება იზომება სასწავლო კურსის არსებობით, დასწრების დონით, იმ პოლიციელების რაოდენობით, რომლებმაც სასწავლო კურსი დაასრულეს, ან მონაწილეთა საერთო რაოდენობით. რასაკვირველია, პოლიციის ოფიცრები შესაძლებელია ესწრებოდნენ სასწავლო კურსს, მაგრამ ან არ შეიძინეს შესაბამისი უნარ-ჩვევები და ცოდნა, ან სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მალევე შეწყვიტეს თავიანთ პროფესიულ პრაქტიკაში სასწავლო კურსის განმავლობაში შეძენილი ცოდნის გამოყენება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია პოლიციის ოფიცრების შეფასება საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვის უნარების გაუმჯობესებაზე მიმართული სასწავლო კურსის განმავლობაში, ამ კურსის დასრულებიდან მოკლე პერიოდის გასვლის შემდეგ, და ასევე მოგვიანებით ეტაპზე, მათი პრაქტიკული მუშაობის პროცესში (სავარაუდოდ, სასწავლო კურსის დასრულებიდან 12-18 თვის შემდეგ), რათა შეფასდეს, თუ რამდენად თანმიმდევრულად იყენებენ ისინი პრაქტიკაში შეძენილ ცოდნას, უნარებს და პრინციპებს, რომლებიც საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვის საფუძველს წარმოადგენენ. ბევრი რამ დამოკიდებულია პოლიციელების მხრიდან გამოკითხვის პროცესის სათანადო ზედამხედველობაზე, კონსტრუქციულ მხარდაჭერაზე და უკუკავშირზე.

კარგი პრაქტიკა გულისხმობს მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც გამოუცდელ პოლიციის ოფიცრებს შეუძლიათ მიმართონ უფრო გამოცდილ კოლეგებს (მათ შორის, ზედამხედველებს), რათა ისინი დაეხმარონ მათ გამოკითხვის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. შეიძლება საჭირო გახდეს გამოკითხვის პროცესში უფრო მეტი გამოცდილების მქონე კოლეგების ჩართვა. ეს განსაკუთრებით მაშინაა მნიშვნელოვანი, როდესაც პირი, რომელიც გამოკითხული უნდა იქნას, განსაკუთრებით პრობლემურია, ან საქმე უაღრესად სერიოზული ან რთული ხასიათისაა.

გამოკითხვის პროცესი

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია გამოკითხვის ცალკეული ფაზების გამოყოფა და მათთვის სხვადასხვა სახელის მიკუთვნება, საგამოძიებო მიზნებში ჩატარებული გამოკითხვის ზუსტ სტრუქტურაში სავარაუდოდ მცირე განსხვავებები იქნება. წლების განმავლობაში პრაქტიკისა და დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდა გამოკითხვის ეფექტური ჩარჩო, რომელიც რამდენიმე საკვანძო ეტაპს მოიცავს. ეს უნდა განხორციელდეს სისტემატური გზით. ქვემოთ აღწერილია ეს პროცესი, და მიუხედავად იმისა, რომ იქმნება შთაბეჭდილება რომ იგი მხოლოდ ერთი მიმართულებით მიმდინარეობს, შეიძლება იყოს ისეთი ვითარებები, როდესაც გამომძიებელს მოუწევს უფრო ადრე ეტაპზე დაბრუნება. ასეთი ვითარებაა მაგალითად, როდესაც გამოკითხვის დროს ეჭვმიტანილი ცვლის თავის ჩვენებას და აღიარებს დანაშაულს გამომძიებლის მიერ მისი მამხილებელი მტკიცებულებების გაცნობის შედეგად. ეს მოითხოვს "განმარტების“ ფაზაზე დაბრუნებას და ეჭვმიტანილის მიერ ახალი ახსნა-განმარტებების უზრუნველყოფას იმის შესახებ, თუ რა მოხდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველი ფაზა მნიშვნელოვანი გავლენას ახდენს შემდეგ ეტაპზე. ქვემოთ ასახულია ამ პროცესის თითოეული ფაზა.

მოკლე შენიშვნა ურთიერთგაგების ჩამოყალიბების თაობაზე

მნიშვნელოვანია, რომ როდესაც თქვენ გამოკითხვას ატარებთ, ურთიერთგაგება დაამყაროთ იმ ადამიანთან, ვისაც გამოკითხავთ. ეს ნიშნავს, რომ თქვენ უნდა იყოთ მიუკერძოებელი, და მოეპყროთ პირს პატივისცემით, და თქვენმა პირადმა შეხედულებებმა ან მიკერძოებულმა თვალსაზრისმა არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა ამ პროცესზე. ეს მიდგომა გულისხმობს, რომ თქვენ უნდა გამოხატოთ გულწრფელი ინტერესი გამოკითხული პირის მიმართ და ორიენტირებული იყოთ მის მხარდაჭერასა და დახმარების გაწევაზე. ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ უნდა მოგწონდეთ ის პირი, რომელსაც გამოკითხავთ, ან იზიარებდეთ მის ღირებულებებს ან მოსაზრებებს. თქვენმა პირადმა გრძნობებმა არ უნდა მოახდინონ გავლენა თქვენს მიდგომაზე, და გამოსაკითხ პირთან ურთიერთგაგებასა და ნდობაზე, რადგან ასეთი ურთიერთგაგება ხელს უწყობს გამოსაკითხი პირის მოტივაციის ამაღლებას გაგიზიაროთ ზუსტი, სარწმუნო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაშინაც კი, თუ ეს პირი დაუნდობელი ტერორისტია. ურთიერთგაგების მიღწევა არის ეფექტური გამოკითხვის წინაპირობა.

ურთიერთგაგების მიღწევა კრიტიკული მნიშვნელობისაა. გამოცდილი გამომძიებლების უმეტესობა, რომლებსაც ყველაზე სერიოზულ და მძიმე დამნაშავეებთან, მათ შორის ტერორისტებთან უწევთ შეხება, ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ურთიერთგაგების დამყარება ინფორმაციის მისაღებად. „ურთიერთგაგება“ არ ნიშნავს, რომ თქვენ შემწყნარებლური დამოკიდებულება გაქვთ იმ დანაშაულების მიმართ, რომლებსაც თქვენ იძიებთ, ან პირადად მოგწონთ ის ადამიანი, ვის გამოკითხვასაც ატარებთ.

გამოიჩინეთ ემპათია ეჭვმიტანილის მიმართ, როდესაც მას შეიძლება გარკვეული განცდები და სირთულეები შეექმნას გამოკითხვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეგავლენით ან სტრესის გამო, და თქვენ უნდა გაითვალისწინოთ მათი გრძნობები და გაგებით მოეკიდოთ მას.

დაგეგმვა

სწორი დაგეგმვა გამოკითხვის კარგად ჩატარების წინაპირობაა. მნიშვნელოვანია, რომ ნათელი წარმოდგენა გქონდეთ იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ გამოკითხვის შედეგად, ანუ რა მიზნები გაქვთ. შეიძლება თქვენ გჭირდებათ თქვენს ხელთ არსებული გარკვეული ინფორმაციის გადამოწმება, დანაშაულის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით განმარტებები, ან მტკიცებულებები. შეიძლება საჭირო იმის დადგენა, თუ რამდენად სარწმუნოა ალიბი, ან როგორ შეიძლება მისი სანდოობის ეჭვქვეშ დაყენება. თქვენ შეიძლება გჭირდებათ დამატებითი მტკიცებულებები, და გსურთ გაიგოთ, თუ სად შეიძლება მათი მოპოვება. გამოკითხვისთვის სათანადოდ მომზადება ზრდის იმის ალბათობას, რომ შეძლებთ ეჭვმიტანილისგან იმ ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც გესაჭიროებათ. თუ თქვენ არ ხართ მომზადებული, მაღალია იმის ალბათობა, რომ თქვენ ხარვეზებით წარმართავთ გამოკითხვას, არ იქნებით საკმარისად თავდაჯერებული და დარწმუნებული იმაში, თუ რას აკეთებთ.

მაშინაც კი, თუ ფიქრობთ, რომ თქვენ ცოტა დრო გაქვთ, თქვენ ყოველთვის უნდა გამოყოთ დრო მოსამზადებლად.

პირველ რიგში, თქვენ მაქსიმალურად მეტი უნდა იცოდეთ იმ დანაშაულის შესახებ, რომელსაც იძიებთ. ეს მოიცავს არა მხოლოდ საქმის გარემოებებს, არამედ ასევე ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას (სასამართლო ექსპერტიზა, ჩვენებები, ექსპერტის აზრი), აგრეთვე იმ დანაშაულებების სამართლებრივი დეფინიცია, რომელსაც იძიებთ, მათ შორის მტკიცებულებები, რომლებიც ბრალდების პოზიციას ამყარებენ. თქვენ ასევე რაც შეიძლება მეტი უნდა იცოდეთ ეჭვმიტანილის პირადი ისტორიის, მათ შორის, ნებისმიერი სისხლის სამართლის წინა ნასამართლეობის შესახებ.

თქვენ უნდა იყოთ ადაპტირებადი, რადგან შეიძლება გამოკითხვის პროცესში რაღაც სპონტანურად მოხდეს, რის გამოც თქვენ უნდა დაუყოვნებლივ მიიღოთ გადაწყვეტილება და იმოქმედოთ, ან სავარაუდოდ, სხვა ტაქტიკას მიმართოთ. როგორც წესი, უკეთესია, რომ გამოკითხვას ორი პირი ატარებდეს, და იდეალურ შემთხვევაში, ერთი ქალი უნდა იყოს, თუ თქვენ ქალ ეჭვმიტანილს გამოკითხავთ. თუმცა, ეს მოითხოვს დაგეგმვასა და თითოეული მონაწილე პოლიციელის როლის შეთანხმებას: ვინ გაკეთებს შესავალ შენიშვნებს, ვინ გააკეთებს განმარტებებს, ვინ იკისრებს წამყვან როლს გამოკითხვის პროცესში, როდის უნდა ჩაერიოს მეორე, და ა.შ. თქვენ უნდა დაგეგმოთ, თუ როგორი იქნება თქვენი საპასუხო რეაქცია, როდესაც ეჭვმიტანილი უარყოს დანაშაულს, აღიარებს დანაშაულს, ან უბრალოდ უარს იტყვის თანამშრომლობაზე და დუმილს შეინარჩუნებს. თუ ეჭვმიტანილი უარყოფს დანაშაულთან რაიმე კავშირს, და ამტკიცებს, რომ იმ კონკრეტულ მომენტში იგი სხვაგან იმყოფებოდა, ან აცხადებს, რომ მისი არასწორად იდენტიფიცირება მოხდა, ან საკუთარი თავის დაცვის მიზნით არგუმენტები მოჰყავს (მაგალითად, მოპარული ქონება მისი იყო, იგი ქმედებდა თავდაცვის მიზნით, ან მოქმედებდა გონივრულად, მაგრამ შეცდომაში შეიყვანეს), თქვენ უნდა წინასწარ ივარაუდოთ, თუ როგორი იქნება ეჭვმიტანილის შესაძლო პასუხი, და თქვენს მიერ "სიმართლის" დადგენის გზები. დაგეგმეთ, თუ როგორ გაუმჟღავნებთ მას თქვენს ხელთ არსებულ მტკიცებულებებს. რა ეტაპზე იქნება ყველაზე მიზანშეწონილი, შეატყობინოთ ეჭვმიტანილს ის, თუ რაც უკვე იცით, და პასუხი მიიღოთ მისგან ამასთან დაკავშირებით?

მომზადება

მომზადება ასევე გულისხმობს, რომ თქვენ ფსიქოლოგიურად მზად

უნდა იყოთ გამოკითხვისთვის. გარდა ამისა, თქვენ მზად უნდა იყოთ, რომ ეჭვმიტანილების ქცევაზე დადებითი რეაგირება მოახდინოთ, მაშინაც კი, როდესაც ისინი გამომწვევად იქცევიან, ან გეწინააღმდეგებიან. თქვენი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ურთიერთგაგების მიღწევაზე და ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს თქვენი მიზნის მიღწევას. თქვენ ასევე უნდა შეგეძლოთ საკუთარი ემოციების და გრძნობების გაკონტროლება და შეკავება, რათა ამან არ დააბრკოლოს გამოკითხვის პროცესი. გაითვალისწინეთ, რომ გამოკითხვის პროცესში წამყვანი როლის მქონე პოლიციელმა შეიძლება თავის კოლეგას გადასცეს გამოკითხვის წარმართვის ფუნქცია, როდესაც მისი პიროვნული თვისებები, ან ტემპერამენტი ხელს უშლის ეჭვმიტანილთან ურთიერთგაგების დამყარებას. გამოკითხვისთვის მომზადება ასევე გულისხმობს ოპტიმალური ფიზიკური გარემოს შექმნას, სადაც ყველა საჭირო რესურსი იქნება ხელმისაწვდომი გამოკითხვის სათანადოდ ჩასატარებლად. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, თუ სად არის ყველაზე მიზანშეწონილი გამოკითხვის ჩატარება: მაგალითად, როგორ უნდა იყოს მოწყობილი გამოკითხვის ოთახი, და უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ჩანაწერები ან აღჭურვილობა. ის, თუ სად იჯდება ეჭვმიტანილი გამოკითხვის ოთახში, წინასწარ უნდა იყოს მოფიქრებული, და შეიძლება ეს გეგმა შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ ვინ დაესწრება გამოკითხვას, რის მიღწევას ცდილობთ, ან რა მოთხოვნები და საჭიროებები გააჩნია თავად ეჭვმიტანილს.

თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ თქვენ და ეჭვმიტანილს არაფერი შეგიშლით ხელს გამოკითხვის პროცესზე კონცენტრაციაში, და რომ ოთახი იყოს წყნარი, გარემო კონფიდენციალური, და რომ გამოკითხვაში ხელს არაფერი შეგიშლით.

თქვენ არ უნდა დაუშვათ რომ გაღიზიანდეთ, ან ყურადღება გაგეფანტოთ ისეთი მესამე მხარეების გამოკითხვაზე დასწრების გამო, როგორიცაა იურიდიული მრჩეველი, თარჯიმანი, ან არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, მისი თანმხლები პირი. ამ ადამიანებს განსაზღვრული როლი აქვთ, რაც თქვენ უნდა გაითვალისწინოთ დაგეგმვის ეტაპზე, და მათთან ერთად შეათანხმოთ გამოკითხვის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

შესავალი

გახსოვდეთ, რომ თქვენ ეჭვმიტანილთან პირველივე შესავალი სიტყვებიდან უნდა დაამყაროთ ურთიერთგაგება და შეინარჩუნოთ იგი. ამის მიღწევა შესაძლებელია ეჭვმიტანილის კეთილდღეობის მიმართ ინტერესის გამოხატვით. თქვენ არ უნდა ცდილობდეთ გახდეთ მისი "მეგობარი", არამედ თქვენ ისე უნდა იქცეოდეთ, რომ

ეჭვმიტანილი მოხვდეს, რომ პატივს სცემთ მას, როგორც ადამიანს, და გესმით ის სტრესი და პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულა იმ მდგომარეობასთან, რომელშიც ის აღმოჩნდა.

- წარადგინეთ თქვენი თავი, ანუ, შეატყობინეთ ეჭვმიტანილს თქვენი სახელი და წოდება, ასევე, გააცანით მას სხვა პოლიციის ოფიცრები და დამსწრე პირები. ახსენით, თუ რა როლი გეკისრებათ თქვენ, და სხვა დამსწრე პირებს ამ პროცესში.
- განმარტეთ, თუ რატომ ხდება მისი გამოკითხვა. თქვენი ეროვნული კანონების გათვალისწინებით, შესაძლოა ამ ეტაპზე თქვენ მათ ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ გარკვეული ასპექტების თაობაზე, და დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არა ასეთი მოთხოვნა, ეჭვმიტანილს მისთვის გასაგებ ენაზე ნათლად უნდა განუმარტოთ, თუ რა დანაშაულის ჩადენაში არის იგი ეჭვმიტანილი, და რასთან დაკავშირებით აპირებთ მის გამოკითხვას.
- განუმარტეთ ეჭვმიტანილს, რა მოხდება გამოკითხვის განმავლობაში, კერძოდ, როგორ ჩატარდება გამოკითხვა. თქვენ ასევე უნდა შეატყობინოთ ეჭვმიტანილს, რომ შეიძლება იგი სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც გამოიკითხოს, რომლებიც მასთან საუბრისას გამოიკვეთება, გარკვეული ფაქტების და საკითხების დასაზუსტებლად და განსამარტად.
- განუმარტეთ ეჭვმიტანილს მისი უფლებები, მათ შორის, ადვოკატის უფლება, და ის, თუ თქვენი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, რა ეტაპიდან გააჩნია მას ეს უფლება.
- ჰკითხეთ ეჭვმიტანილს, აქვს თუ არა მას რაიმე შეკითხვები ამ ეტაპზე, ან ხომ არ სჭირდება რაიმე (მაგალითად, შესვენება საპირფარეშოთი სარგებლობის მიზნით, ან წყალი). დარწმუნდით, რომ მას ესმის, თუ რას ამბობთ.
- ყველა ზემოაღნიშნულის გაზიარება ნათელი და გასაგები გზით, და პატივისცემის გამოხატვით, უაღრესად მნიშვნელოვანია ურთიერთგაგების მისაღწევად.

განმარტებები

შესავალი ნაწილის დასრულების შემდეგ, და როდესაც დარწმუნდებით, რომ ეჭვმიტანილი სრულად აცნობიერებს, თუ რას მოელიან მისგან, თქვენ უნდა მისცეთ მას შესაძლებლობა, რომ დეტალურად მოყვეს მოვლენების საკუთარი ვერსია ისე, რომ მას არ შეაწყვეტინონ. ეს ასევე გულისხმობს ეჭვმიტანილის მიერ ისეთ

ინფორმაციასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების გაკეთებას, რომელიც მიუთითებს მის კავშირზე იმ დანაშაულთან, რომლის გამოძიება მიმდინარეობს. მიეცით ეჭვმიტანილის დაფიქრების დრო, და არ შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ საჭიროა პაუზის დაუყოვნებლივ „შევსება“. დუმილი შეიძლება იყოს ეფექტური საშუალება, თუ მას სწორად გამოიყენებთ გამოკითხვის პროცესში, და საშუალებას მისცემთ ეჭვმიტანილს უფრო დეტალურად ისაუბროს იმაზე, რაც უკვე განაცხადა, ან დამატებითი დეტალები გაგიზიაროთ ამ მოვლენების შესახებ. მნიშვნელოვანია წაახალისოთ ეჭვმიტანილი თავად მოყვეს მოვლენების შესახებ, და არ შეაწყვეტინოთ მას, მაშინაც კი, თუ ეჭვი გეპარებათ მისი მონათხრობის სიზუსტეში და სანდოობაში. გახსოვდეთ, რომ თქვენ ეჭვმიტანილს საშუალებას აძლევთ გაგიზიაროთ მოვლენების თავისი ვერსია, რადგან ეს დაგეხმარებათ მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც მოგვიანებით შეგიძლიათ გადაამოწმოთ, და ეს ინფორმაცია შეიძლება მიუთითებდეს მის ბრალეულობაზე, ან უდანაშაულობაზე.

თქვენ დაგჭირდებათ ეჭვმიტანილის ახსნა-განმარტებების ანგარიშის შედგენა არა მარტო მტკიცებულების სახით, არამედ ასევე იმისთვის, რომ დაუბრუნდეთ ეჭვმიტანილის მიერ გაკეთებულ მნიშვნელოვან განცხადებებს, რომლებთანაც დაკავშირებით მოგვიანებით უფრო დეტალური განმარტებები უნდა მოიძიოთ, ან გააბათილოთ ეს განცხადებები, თუ ეჭვმიტანილის მიერ მიწოდებული ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის თქვენს ხელთ არსებულ სხვა ინფორმაციასთან. თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ ეჭვმიტანილს ესმის და ახსოვს მის მიერ გაკეთებული განცხადებები, და ამ მიზნით თქვენ უნდა გაუმეოროთ მას შეჯამებული სახით ამ განცხადებების შინაარსი. მიეცით მას საშუალება დაეთანხმოს ამ შეჯამებულ ინფორმაციას, ან შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს მასში.

გახსოვდეთ, რომ თქვენი სხეულის ენა და მარტივი კომენტარები ხელს შეუწყობს ეჭვმიტანილის მიერ უფრო დეტალური და სრული ინფორმაციის გაზიარებას. ეს ასევე გულისხმობს ინტერესის გამოხატვას და იმის დემონსტრირებას, რომ თქვენ აქტიურად უსმენთ იმას, რასაც ეჭვმიტანილი ამბობს. ეს შეიძლება იყოს მიღწეული იქნას დასტურის ნიშნად თავის დაქნევით, ან ისეთი კომენტირების გაკეთებით, როგორიცაა „ეს საინტერესოა“, ან „გასაგებია“.

შეკითხვები

ეჭვმიტანილის მონათხრობიდან თქვენ მოახდენთ იმ საკითხების იდენტიფიცირებას, რომლებთანაც დაკავშირებით მისგან უფრო

დეტალური ინფორმაციის მიღება გესაჭიროებათ. თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ მისგან უფრო კონკრეტული ინფორმაციის მიღება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გაურკვეველია, ან რომელთა შესახებაც იგი ამბივალენტურია. როდესაც თქვენ წაახალისებთ ეჭვმიტანილს, რომ უფრო მეტი განმარტებები მოგაწოდოთ, თქვენ კვლავაც უნდა გამოიყენოთ ღია შეკითხვები, რათა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოთ მისგან, და არ მოახდინოთ ზეგავლენა, ან რაიმე სახით შეზღუდოთ მისი პასუხი. თავდაპირველ ეტაპზე თქვენ შეიძლება ეჭვმიტანილის განცხადებები მასინვე არ დააყენოთ ეჭვქვეშ, არამედ უნდა აცნობოთ მას, რომ თქვენ გესაჭიროებათ დამატებითი ინფორმაცია, და მან უნდა გააგრძელოს საუბარი, სანამ არ მიიჩნევს, რომ "სრულად" გაგიზიარა ინფორმაცია. ამის შემდეგ თქვენ რამდენიმე საკითხზე თქვენს მოსაზრებებს გაუზიარებთ მას, რადგან გაგაჩნიათ გარკვეული მტკიცებულებები დანაშაულთან დაკავშირებით. თქვენ შეიძლება წარუდგინოთ მას მტკიცებულებები, რომლებთანაც დაკავშირებით შესაძლოა ეჭვმიტანილს განმარტებები არ წარუდგენია, და სთხოვოთ მას ამასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების უზრუნველყოფა. მაგალითად, თქვენ შეიძლება განმარტებები სთხოვოთ შემდეგთან დაკავშირებით: რატომ იმყოფებოდა იგი დანაშაულის ადგილზე, რატომ არის მისი თითის ანაბეჭდები კარის სახელურზე, ან რატომ იყო მოპარული ქონება მის მანქანაში. გამოკითხვის პროცესში თქვენ ასევე შეგიძლიათ წარმოადგინოთ ფიზიკური მტკიცებულებები ან ფოტოგამოსახულებები, მაგალითად: "გეცნობათ ეს სახრახნისი?" თქვენ უკვე მომზადებული გაქვთ ნივთმტკიცებები, და დაგეგმილი გაქვთ, თუ როგორ გამოიყენებთ მათ გამოკითხვის პროცესში. თქვენ ტაქტიკურად უნდა გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, და ეჭვმიტანილს უნდა მისცეთ საშუალება "განმარტოს" ან მოყვეს გარკვეული საკითხის შესახებ, სანამ მას მტკიცებულებებს გაუმჟღავნებთ. მაგალითად, თუ ეჭვმიტანილის თითის ანაბეჭდები იქნა ნაპოვნი დანაშაულის ადგილას, რომელიც სამშაბათს მოხდა, თქვენ შეიძლება ჰკითხოთ მას, თუ სად იმყოფებოდა სამშაბათს. აღიარებს იგი, რომ დანაშაულის ადგილას იმყოფებოდა, თუ ამტკიცებს, რომ სხვაგან იყო? თუ თქვენ დაიწყებთ სიტყვებით "თქვენი თითის ანაბეჭდებია აღმოჩენილი დანაშაულის ადგილას", მაშინ ეჭვმიტანილმა შესაძლოა მოიფიქროს მიზეზი იმისა, თუ რატომ იმყოფებოდა იქ. გახსოვდეთ, რომ თქვენ ყოველთვის მიუკერძოებლად სვამთ შეკითხვებს. თქვენ უნდა მოისმინოთ, თუ რა აქვს სათქმელი ეჭვმიტანილს, და არა ივარაუდოთ, რომ იცით ამ ფაქტების განმაპირობებელი მიზეზი. ეჭვმიტანილს შეიძლება ჰქონდეს დამაჯერებელი და მარტივი განმარტება, რომელიც შეიძლება სრულად შეესაბამებოდეს ყველა ფაქტს. ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ გადახვიდეთ ისეთ ასპექტებზე, რასთან დაკავშირებითაც ეჭვმიტანილის მონათხრობსა და თქვენს ხელთ არსებულ

მტკიცებულებასა და ინფორმაციას შორის შეუსაბამობები არსებობს. ამ ასპექტებს განსხვავებული მამტკიცებელი ღირებულება გააჩნიათ, და ისინი გეხმარებიან დაამტკიცოთ, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავეა. ერთ-ერთი მიდგომა გულისხმობს შეკითხვების დასმას ნაკლებად მნიშვნელოვანი მამტკიცებელი ღირებულების მქონე საკითხებიდან, და შემდეგ ისეთი საკითხებით გაგრძელება, რომლებთანაც დაკავშირებით ყველაზე მაღალი მამტკიცებელი ძალის მქონე ფაქტები გაგაჩნიათ.

მოკლე შენიშვნა ურთიერთგაგების დამყარებაზე

თქვენ უნდა იცოდეთ, თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბოთ თქვენი შეკითხვები, რადგან ამას პირდაპირი და მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება იმ პასუხებზე, რასაც მიიღებთ. ზოგადი წესის სახით, თქვენი შეკითხვები უნდა იყოს ნათელი და ლაკონური, რადგან თქვენ არ გინდათ, რომ ეჭვმიტანილი დააბნიოთ ჟარგონით, ან რამდენიმე ერთმანეთისგან დაუკავშირებელ საკითხზე ერთდროულად საუბრით.

შეკითხვების რამდენიმე სახე არსებობს: ღია, დახურული, იძულებითი არჩევანი, რამდენიმე არჩევანი, მიმანიშნებელი.

- ღია კითხვები არის ისეთი კითხვები, რომლებიც საშუალებას აძლევს ეჭვმიტანილს უფრო გრძელი და დეტალური პასუხები გასცეს გამომძიებელს, მისგან მინიშნებების მიღების გარეშე. ეს შეიძლება იყოს ისეთი კითხვები, როგორიცაა "რა მოხდა?" ან კითხვები, რომლებიც იწყება ეჭვმიტანილის მიმართ თხოვნით „მოყვეს“, „განმარტოს“ ან „აღწეროს“ რაღაც მოვლენა ან სიტუაცია.
- დახურული კითხვები უფრო კონკრეტულ და მკაფიო პასუხებს მოითხოვს. მაგალითად, "ეს რა დროს მოხდა?“, "კიდევ ვინ იყო იქ?“, "რა არის მისი მისამართი?". ასეთი კითხვები უფრო მეტი კონტროლის საშუალებას იძლევა იმაზე, თუ რას ამბობს ეჭვმიტანილი, და სასარგებლოა, როდესაც ეჭვმიტანილმა გამოტოვა ინფორმაცია, რომელიც თქვენ გჭირდებათ. თუმცა, ამ შეკითხვებს შეუძლიათ შეზღუდონ ეჭვმიტანილის მონათხრობი.
- კითხვები იძულებითი არჩევანით მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაძლებელ პასუხს. კითხვა შეიძლება იყოს "ეს თოფი იყო თუ პისტოლეტი?“, მაშინ როდესაც იარაღი შეიძლება ყოფილიყო საფანტიანი თოფი. ეჭვმიტანილმა შეიძლება უბრალოდ აირჩიოს რომელიმე მათგანი, გამომძიებლის დასაკმაყოფილებლად, ან უბრალოდ არ უპასუხოს ამ კითხვას. თქვენ თავი უნდა შეიკავოთ ასეთი შეკითხვების დასმისგან, რადგან პასუხი შეიძლება სცდებოდეს ამ კითხვის ფარგლებს. არ შეზღუდოთ გამოკითხვა ასეთი შეკითხვების დასმით.
- რამდენიმე არჩევანის შემცველი კითხვა ისეთი კითხვაა, როდესაც გამომძიებელი ერთზე მეტ კითხვას სვამს. ამან შეიძლება ადვილად დააბნიოს ეჭვმიტანილი, და შესაბამისად, შეიძლება პასუხები ასეთივე დამაბნეველი იყოს. მაგალითად, კითხვა, "როდის თქვა მან ეს, და რა გააკეთა, და კიდევ ვინ ესწრებოდა ამ დროს?“.
- მიმანიშნებელი შეკითხვები ისეთი შეკითხვებია, რომლებიც კონკრეტულ პასუხს მოითხოვს, და ასეთი შეკითხვებით შესაძლებელია ეჭვმიტანილის მანიპულირებას. მაგალითად, შეკითხვა, „თქვენ გინდოდათ მისთვის ზიანი მიგეყენებინათ, ხომ ასეა?“. ეჭვმიტანილი შეიძლება მივიდეს ისეთ წერტილამდე, რომ დაეთანხმოს ასეთ დასკვნას, მაშინაც კი, როდესაც ის არ არის დარწმუნებული, რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ან ზუსტად არ ახსოვს.

თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თუ რა გზით მოითხოვთ სადაო ინფორმაციის განმარტებას. ეს ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გესმით ეჭვმიტანილის, და რა ურთიერთობები ჩამოგიყალიბდათ გამოკითხვის პროცესში. მაგალითად, ისეთი

ვითარება, როდესაც ეჭვმიტანილმა განაცხადა, რომ იგი X ადგილას იმყოფებოდა, მაშინ როდესაც თქვენ გყავთ მოწმე, რომელმაც იგი Y ადგილას დაინახა. შეგიძლიათ პირდაპირ დაუპირისპირდეთ ეჭვმიტანილს და განაცხადოთ შემდეგი: "ეს სიცრუეა; ჩვენ ვიცით, რომ თქვენ იყავით Y ადგილას. რატომ არ აღიარებთ? მიუხედავად იმისა, რომ შედეგად შეიძლება ეჭვმიტანილი მიხვდეს, რომ ამ საკითხში დამარცხდა, მან შეიძლება უარყოს ეს ფაქტი, და მოგვიანებით მისთვის უფრო რთული იქნება ამის აღიარება, და თქვენსა და ეჭვმიტანილს შორის მიღწეული ურთიერთგაგება შეიძლება შეირყეს, რის შედეგადაც იგი ნაკლებად მიდრეკილი იქნება გაგიმჟღავნოთ რაიმე ინფორმაცია. თქვენ შეგიძლიათ მსგავსი შეუსაბამობა შემდეგნაირად გაარკვიოთ: „ჩვენ აქ პრობლემა გვაქვს, რადგან ძალიან საიმედო მოწმემ გნახათ Y ადგილას, მაშინ როდესაც თქვენ ამბობთ, რომ იყავით X ადგილას. იქნებ შეგვიძლია ამას ახსნა მოვუძებნოთ?“. ამ უკანასკნელ მაგალითში ნაცვალსახელის „ჩვენ "გამოყენება ხელს უწყობს ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, რომ თქვენ და ეჭვმიტანილი ერთად მუშაობთ იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა სინამდვილეში. თქვენ შეგიძლიათ გადაამოწმოთ ეჭვმიტანილის მონათხრობი დახურული კითხვების გამოყენებით, მაგალითად, შეგიძლიათ ჰკითხოთ მას: „თქვენ მაინც ამტკიცებთ, რომ არ იყავით Y ადგილას. ეჭვმიტანილი გააცნობიერებს მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების წონას, როდესაც თქვენ სტრატეგიულად გაამჟღავნებთ მათ გამოკითხვის პროცესში. ამან შეიძლება დაარწმუნოს ეჭვმიტანილი, რომ მისთვის დანაშაულის აღიარება საუკეთესო გზა იქნებოდა. თუ ეჭვმიტანილი აღიარებს დანაშაულს, თქვენ საშუალება უნდა მისცეთ მას მოგიყვეთ, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში, და ხელი შეუწყოთ ზუსტი და დეტალური ინფორმაციის გამჟღავნებას ღია შეკითხვების გამოყენებით.

თქვენ უნდა შეინარჩუნოთ სიმშვიდე და ზრდილობიანად მოიქცეთ მთელი გამოკითხვის მანძილზე. მაშინაც კი, როდესაც თქვენ ეჭვქვეშ აყენებთ ეჭვმიტანილის ვერსიის გარკვეულ ელემენტებს, თქვენ ეს მტრული დამოკიდებულების ან აგრესიის გარეშე უნდა გააკეთოთ.

დასრულება

გამოკითხვის დასრულება მნიშვნელოვანი ეტაპია და არ უნდა მოხდეს სწრაფად იმ რწმენით, რომ გამოკითხვა დასრულდა, როდესაც თქვენი შეკითხვები ამოიწურა. არსებობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განხილული უნდა იქნას. პირველ რიგში, თქვენ უნდა ჰკითხოთ ეჭვმიტანილს, არის თუ არა რაიმე, რისი დამატებაც სურთ მათ მიერ გაზიარებულ

ინფორმაციასთან დაკავშირებით. გახსოვდეთ, რომ შეიძლება ეჭვმიტანილის განმეორებით გამოკითხვა იქნება საჭირო, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ ურთიერთგაგება და პროფესიონალიზმი და პატივისცემა. ამ ეტაპზე, თუ თქვენ უკვე იცით რომ ეს საჭირო გახდება, აცნობეთ მათ, თუ რა საკითხებზე აპირებთ ყურადღების გამახვილებას მომავალი გამოკითხვისას.

შეფასება

გამოკითხვის დასასრულს პირველი შეფასება, რომელიც თქვენ უნდა გააკეთოთ, შეეხება იმას, მიაღწიეთ თუ არა გამოკითხვის დაგეგმვის ეტაპზე დასახულ მიზნებს. ახლა თქვენ უნდა განიხილოთ, თუ რა ქმედებებია აუცილებელი გამოძიების წინ წასაწევად ეჭვმიტანილის მიერ მიწოდებული ინფორმაციის, მისი პასუხების და თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით. თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ შემდგომი მოკვლევა ეჭვმიტანილის ჩვენებების ნამდვილობის, საკუთარი თავის დაცვის მიზნით მოყვანილი არგუმენტების, ან მტკიცებულებების მოპოვების, მათ შორის, სხვა პოტენციური მოწმეების ან ეჭვმიტანილების იდენტიფიცირების მიზნით. თქვენ შეიძლება განიხილოთ განმეორებითი გამოკითხვის მნიშვნელობა, და ის, თუ როგორ შეგიძლიათ მოემზადოთ ამისთვის ყველაზე ეფექტურად.

ეს მოიცავს არა მხოლოდ იმ ასპექტების კრიტიკულ მიმოხილვას, რომლებიც კარგად არ წარიმართა, და უფრო მეტი ყურადღების გამახვილებას საჭიროებენ, არამედ ასევე კმაყოფილებას იმ ასპექტებით, რომლებიც შედეგიანი აღმოჩნდა, და რომელი მიმართულებითაც მუშაობის გაგრძელებას აპირებთ. ასეთი შეფასების დახვეწა შესაძლებელია, როდესაც თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდება კვალიფიციური მესამე მხარის მიერ გაკეთებული შეფასების შედეგები, რომლის უკუკავშირი შეიძლება ასახული იქნას თქვენი პროფესიული განვითარებისა გეგმაში და პერსონალური მიზნების დასახვისას.

დასკვნები

საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვის უნარების შეძენა და გამოყენება შეიძლება დაკავშირებული იყოს სირთულეებთან და გამოწვევებთან. ეს მოითხოვს კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას, გახსნილობას და ემპათიურობას, თუნდაც ყველაზე რთულ სიტუაციებში. გამომძიებელს უნდა შეეძლოს დაგეგმვა, სტრუქტურული მიდგომის გამოყენება, და დისციპლინის გამოჩენა. მას უნდა შეეძლოს კრიტიკულად შეაფასოს თავისი შესრულების შედეგები, და მზად იყოს გაიგოს რთული ფსიქოლოგიური პროცესები. მაშინაც კი, როდესაც ასეთი უნარები შეძენილი გაქვთ, ისინი შეიძლება ადვილად დაიკარგოს, თუ ისინი არ იქნება სათანადოდ დაფასებული, წახალისებული, მხარდაჭერილი, და ხელშეწყობილი ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი და სხვა ხელმძღვანელი პირების მიერ.

მიუხედავად ამისა, როგორც ეს სახელმძღვანელო ცხადყოფს, გამოკითხვის ტექნიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიძლება იყოს მიღწეული მარტივი, მაგრამ კრიტიკული ნაბიჯების გადადგმის გზით. ყველა პოლიციელს შეუძლია ისარგებლოს დიდი რაოდენობის სამეცნიერო კვლევებითა და ამ სფეროში მოქმედი პრაქტიკოსების გამოცდილებით, რაზე დაყრდნობითაც წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა წარმატებული სისხლის სამართლის გამოძიების ხელშეწყობის მიზნით.

პოლიციელები პრაგმატიკოსები არიან. მათი მოვალეობების შესრულებისას მათ სჭირდებათ იცოდნენ, თუ რა მუშაობს ეფექტურად. ეს სახელმძღვანელო გვიჩვენებს თუ "რა მუშაობს", და უზრუნველყოფს პოლიციის ოფიცრებს ძირითადი რესურსებით, რათა საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვა ეფექტურად განხორციელდეს. სავარაუდოდ, ამ სახელმძღვანელოს არ შეუძლია ყველა პოლიციის ოფიცერი გამოკითხვის სფეროში გაწაფულ პროფესიონალებად გადააქციოს, თუმცა, ის უზრუნველყოფს მყარ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც პოლიციელებს შეუძლიათ კარგად ნაცადი მეთოდები მათ პროფესიულ პრაქტიკაში გამოიყენონ. ეს არა მხოლოდ გაზრდის პოლიციის ეფექტურობას გამოძიების სფეროში, არამედ საშუალებას მისცემს პოლიციის ოფიცრებს განახორციელონ თავიანთი ფუნქციები ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით, რაც ყველა მოქალაქის ინტერესებშია, და როგორც ისინი ამას იმსახურებენ.

საპოლიციო ფუნქციის განხორციელება და კანონის უზენაესობა

დემოკრატიის პირობებში

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ყველაზე მეტი დანაშაულის გახსნა საზოგადოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება. იქ, სადაც პოლიცია სარგებლობს საზოგადოების, მათ შორის ამ საზოგადოების შემადგენელი ყველა მრავალფეროვანი ჯგუფის ნდობით და პატივისცემით, ეს ინფორმაცია დაუბრკოლებლად მიეწოდება პოლიციას. ამის გარემე პოლიციას დანაშაულის გადასაჭრელად ძირითადად აღიარებით ჩვენებაზე დაყრდნობა მოუწევს. დანაშაულების გახსნასთან დაკავშირებით რეალური ან აღქმული ზეწოლის პირობებში არსებობს იძულების, ცრუ აღიარებითი ჩვენებების მიღების, და ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხე. პოლიციის წარმატება დანაშაულის გამოვლენის სფეროში მჭიდროდაა დაკავშირებული მის ურთიერთობებთან საზოგადოებასთან.

გამოცდილი პროფესიონალების არსებობა საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვის სფეროში უაღრესად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დამნაშავეებმა პასუხი აგონ, მაგრამ ამ პროფესიონალების პოტენციური წვლილი დანაშაულის გახსნაში ყოველთვის შეზღუდული იქნება მოწმეებისა და დაზარალებულის, ანუ ჩვეულებრივი მოქალაქეების დახმარების გარეშე, რომლებიც მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულების აღსრულებაში. მოქალაქეები უფრო მეტ მზადყოფნას გამოხატავენ ამ თვალსაზრისით, თუ მათ სჯერათ მართლმსაჯულების სისტემის სამართლიანობის და პოლიციის მიუკერძოებლობის, პროფესიული ეფექტურობის და კეთილსინდისიერების. საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვის პროფესიონალურად და პატივისცემით ჩატარებას გადამწყვეტი როლი ეკისრება საზოგადოების ნდობის მოპოვებაში და კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში.



საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვის პრინციპები

მიზანს წარმოადგენს ზუსტი, სარწმუნო და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება
► გამოკითხვის მიზანია ამომწურავი, სარწმუნო და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება იმის თაობაზე, თუ რა მოხდა, და ამასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მოპოვება, რომელიც გამოსაკითხ პირს გააჩნია.

უნდა იყოთ მოქნილი, და ამოსავალ წერტილად მიიჩნიოთ ის, რომ პირი უდანაშაულოა, სანამ არ იქნება დამტკიცებული საწინააღმდეგო.
► პირმა, რომელიც გამოკითხვას ატარებს, არ უნდა დაუშვას, რომ მისმა პირადმა ან წინასწარგანსაზღვრულმა შეხედულებებმა გავლენა მოხდინონ მასზე, არამედ მან უნდა შეინარჩუნოს მიუკერძოებლობა. ეს საშუალებას მისცემს მას უფრო ორიენტირებული იყოს საგამოძიებო მიდგომების გამოყენებაზე, რომელიც საშუალებას მისცემს მას შეკითხვების დასმის გზით

გამოავლინოს მომხდარის სრული და სარწმუნო ვერსია. ასეთი გზით გამომძიებელს შეუძლია შეამოწმოს ეჭვმიტანილის განცხადებების სანდოობა მის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

მოიქეცით მიუკერძოებლად და პატივი ეცით ყველა მონაწილე მხარის ღირსებას

- მნიშვნელოვანია, რომ პირი, რომელიც გამოკითხვას ატარებს, ყოველთვის იქცეოდეს პროფესიონალურად, ეჭვმიტანილის ადამიანის უფლებების დაცვით, და ითვალისწინებდეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების საჭიროებებს.

თუ ეჭვმიტანილი დუმილის უფლებით სარგებლობს, ის შეიძლება მაინც გამოიკითხოს, რადგან თქვენ გამოძიების ვალდებულება გეკისრებათ

- პირმა, რომელიც გამოკითხვას ატარებს, ეჭვმიტანილს კითხვები უნდა დაუსვას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი უარს ამბობს პასუხის გაცემაზე. ეჭვმიტანილმა შეიძლება მოგვიანებით განაცხადოს, რომ მას გარკვეული შეკითხვები არ დაუსვეს. ეჭვმიტანილისთვის ეს არის შესაძლებლობა მოყვეს საკუთარი ვერსია მოვლენების შესახებ.

თქვენ შეგიძლიათ დასვათ ნებისმიერი შეკითხვა, იმ პირობით, რომ იგი დაკავშირებულია გამოძიებასთან

- თქვენს ვალდებულებებში შედის კონკრეტული დანაშაულის გამოძიება, და თქვენ უფლება გაქვთ დასვათ ნებისმიერი შეკითხვა, რომელიც ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნას.

თქვენ შეგიძლიათ არ დაკმაყოფილდეთ გაცემული პასუხით და გააგრძელოთ გამოკითხვა, იმ პირობით, რომ ამან არ უნდა მიიღოს იძულების ფორმა.

- პირს, რომელიც გამოკითხვას ატარებს, შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს მისთვის მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობა, და უფლებამოსილია დამატებითი შეკითხვები დასვას შეუსაბამობებთან დაკავშირებით განმარტებების მიღების, და სიმართლის დადგენის მიზნით.

იმის აღიარება, რომ გულწრფელი აღიარებითი ჩვენება როგორც მართლმსაჯულების, ასევე მსხვერპლის ინტერესებშია

- მიუხედავად იმისა, რომ თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, რომ აღიარებითი

ჩვენება შეიძლება ცრუ იყოს, დანაშაულის აღიარება ხელს უწყობს მსხვერპლის სტრესის და დაძაბულობის შემცირებას და მართლმსაჯულების უფრო დროულ და ეფექტურ აღსრულებას, ვიდრე სასამართლო განხილვის შემთხვევაში.